ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3799820

ნომერი: AR1571995

თარიღი : 22.01.2018

გაცემის თარიღი : 01.02.2018

გაცნობის თარიღი : 01.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან., (ნაკვეთი N1/22) / ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N191; ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან., (ნაკვეთი N1/22) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ზაუტაშვილი პ/ნ 01025000185
- თბილისი, დ/დიღომი, გიორგი ბრჭყინვალეს 9, ბინა 104

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა

დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 22 იანვრის AR1571995 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.13.02.001.059, საკადასტრო კოდი: 01.13.02.001.063) სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცებას მრავალფუნქციური კომპლესის განთავსების მიზნით, პასუხად გაცნობებთ, რომ ტერიტორიაზე ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები (საკანალიზაცი მილი და გარე განათება), საჭიროა წარმოადგინოთ მესაკუთრეების თანხმობა და დაიცვათ შესაბამისი ნორმები, ამასთან, მიწის ნაკვეთებზე რეგისტრირებულია სერვიტუტი, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს ყოველგავრი შენობა ნაგებობისაგან. საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული გენგეგმა, სადაც დაცული იქნება ნორმები როგორ ხაზობრივ ნაგებობთან ისე სერვიტუტთან მიმართებით. ან გააუქმეთ სერვიტუტი (თუ არ არსებობს მისი საჭიროება) და წარმოადგინეთ განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადატრო რუკა. მოქმედი კანონმდებლობით ორ საკადასტრო ერთეულზე ერთი შენობის განთავსება არ არის დასაშვები ამიტომ უნდა გაერთიანოთ ეს ორი მიწის ნაკვეთი, ან შეცვალოთ გეგმარება.
ამასთან, საჭიროა წარმოადგინოთ საინფორმაციო დაფა/ბანერის ფოტო ახლო ხედითაც, რათა შესაძლებელი იყოს ინფორმაციის აღქმა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში 2018 წლის 22 იანვრის AR1571995 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.